ღვთისმშობელისა და ყოვლადწმინდა ქალწულ მარიამის შობისადმი მიძღვნილი ქადაგება

8 სექტემბერი 2020 წ.

(კვირისთვის, 6 სექტემბერი 2020 წ.)

,,შობამან შენგან, ღვთისმშობელო ქალწულო, სიხარული აუწყა ყოველსა სოფელსა, რამეთუ შენგან აღმოგვიბრწყინდა მზე სიმართლისა, ქრისტე ღმერთი ჩუენი, დახსნა წყევა და მოგვმადლა კურთხევა, და განაქარვა სიკუდილი, და მოგუანიჭა ჩუენ ცხორება საუკუნო(ტროპარი, ხმა 4, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობა).

ღვთისმშობლისა და ყოვლადწმინდა ქალწულ მარიამის შობა, რომელსაც ჩვენ 8 სექტემბერს აღვნიშნავთ, ყველა მორწმუნესათვის დიდ სულიერ სიხარულს წარმოადგენს. უბრალო ქალად დაბადებული მარიამი შემდგომში შობს ,,ხორციელად" მარადიულ ღმერთ-სიტყვას, შემქმნელსა და კაცობრიობის მხსნელს, სიკვდილის დამთრგუნველს, რათა ჩვენ მარადიული ცხოვრება გვქონდეს. ეს დღესასწაული წარმოადგენს სიხარულსა და მხიარულებას არა მარტო ადამიანებისათვის, არამედ მთელი სამყაროსთვის, ანგელოსთა უხილავი მეუფების ჩათვლით.

თუ მთელ მსოფლიოს უხაროდა ,,მოწყალე" მარიამის დაბადება, მაშინ ჩვენ წარმოვიდგინოთ, თუ რას განიცდიდა მისი დედა ანნა-მან ხომ თავისი ფიზიკური უშვილობა დასძლია. მითუმეტეს, ყოვლადწმინდა ქალწულ მარიამის მამამ-იოაკიმემ- დაინახა თავისი ღვთისადმი მხურვალე ლოცვის ასრულება, გახდა მამა უკვე ხანდაზმულ ასაკში. ყველაფერი ეს ჭეშმარიტად საოცრება იყო. როგორც ჩვენ ძველი აღთქმიდან ვიცით, ღმერთი ასეთნაირად სხვა ქალებსაც აკურთხებდა. ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ სარა, პატრიარქ აბრაამის ცოლი; რებეკა, ისააკის ცოლი; ანნა, წინასწარმეტყველ სამუელის დედა. მაგრამ ანნასი და იოკიმეს შემთხვევა ძირფესვიანად განსხვავებულია სხვა დანარჩენებისაგან. თუ ზემოთ აღნიშნულმა დედებმა შობეს კეთილ მორწმუნე და წმინდა შვილები, მაშინ ანნასი და იოაკიმეს შვილი უნდა გამხდარიყო ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი!

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, როგორც ვიცით, დაიბადა გულმხურვალე და დიდი ხნის, მართალი იოაკიმესა და ანნას, ღვთისმშობლის მშობლების, ლოცვის შემდეგ. მაგრამ იმისათვის რომ, რათა მიეღოთ ეს კურთხევა, მათ უნდა ჰქონოდათ ურყევი რწმენა და მტკიცე გამძლეობა. მათი რწმენა შვილის ყოლისა არ იყო იმედგაცრუებული; ისინი რწმენით ლოცულობდნენ, იმედით რომ ღმერთი შეისმენს მათ ლოცვებს. ჩვენ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მათი უშვილობა არ იყო მცირე ხნის; როგორც გადმოცემით ვიცით, ანნამ ღვთისმშობელი ორმოცდაათ წლიანი უშვილობის შემდეგ დაბადა.

წმინდანების მშობლების გზა ჩვენთვის მაგალითი უნდა გახდეს. მეუღლეებმა, რომელთაც შვილები არ ყავთ, არ უნდა დაკარგონ ღვთისადმი იმედი, რადგან ,, შეუძლებელი კაცთაგან შესაძლებელ არს ღმრთისა მიერ" (ლუკა 18:27). მსგავსი სასწაულები, რომელსაც დღევანდელ დღესაც ვხედავთ, არ არის იშვიათი. რაც არ უნდა გააკეთოს ადამიანმა ასეთი გამოცდის დროს, ეს არის ის, რომ ეძიოს რწმენის განმტკიცება და შთაგონება ღვთისმშობლის მშობლებთან.

ჩვენ ყველა ადამიანები ვართ, ვისაც გაგვაჩნია სისუსტეები: ჩვენ ვიღლებით და ვწუწუნებთ ჩვენი სულიერი ბრძოლების დროს. ჩვენ ვსაყვედურობთ, რომ ჩვენი ლოცვები შესმენილი არ არის და მოთმინებას ვკარგავთ. მწუხარების დროს ქრება ჩვენი გულმოდგინება და მასთან ერთად გვეკარგება ბრძოლის სურვილი. მოდით არ დავივიწყოთ წმინდა მშობლები იოაკიმე და ანნა! განა შეწყვიტეს მათ ლოცვა ღვთისადმი, იმიტომ რომ მან არ შეისმინა მათი ვედრება? განა მათ შეწყვიტეს თხოვნა, ლოცვა და იმედი? ნამდვილად, მრავალი წლის მანძილზე გამოიჩინეს ურყევი მოთმინება და სიმტკიცე! საბოლოოდ მათი რწმენა დაჯილდოვებული იქნა. გაჭირვების დროს თითოეულ ჩვენთაგანს სჭირდება რწმენა და ურთიერთობა ღმერთთან და მისი ნება, რათა მივიდეთ მასთან სრულყოფილ მორჩილებითა და იმედით, რათა ჩვენ ლოცვა არ მოგვწყინდეს (ლუკა 18:1). ღმერთმა იცის როდის და როგორ უნდა მივიღოთ მისი შეუფასებელი და აღუწერელი კურთხევა; მისი ღვთიური მოწყალება!

მოდით ისე მოვიქცეთ, როგორც მართალი იოაკიმე და ანნა იქცეოდნენ; მოდით სულიერი სიმშვიდით შევხვდეთ განსაცდელსა და უბედურებას, რომელსაც ღმერთი უშვებს ჩვენი სულიერი კეთილდღეობისათვის და განვითარებისათვის. დაე განკურნოს უფალმა ღვთისმშობელის შემწეობით ჩვენი დაბნეული გულები, ურწმუნოება, იმედი, მოთმინება, რწმენა და სულიერი საზრდო. დაე, მან აგვივსოს სულები თავისი ღვთიური და ყოვლის შემძლე წყალობით, რომელიც ყველა ავადმყოფს კურნავს და აძლევს ყველაფერს, რაც კაცობრიობას თავის განახლებისთვის სჭირდება. ამინ!